ფონდის მიმოხილვა

ნინო გოგიტიძე

ბათუმის წმინდა მიქაელ — მთავარანგელოზის ეკლესია (1884-1914 წწ.) აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით

(ფონდ ი-55-ის მიმოხილვა)

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავში დაცულ საინტერესო დოკუმენტებს შორის, განსაკუთრეული ღირებულებისაა ბათუმის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ფონდი. მასში ინახება ოცდაერთი საქმეთა ერთეული. დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1884 – 1914 წლებს. ფონდში დაცულია აღსარების მთქმელთა ყოველწლიური სარეგისტრაციო წიგნები, წერილები, ცნობები, დეპეშები, ანგარიშები, შემოსავლების სარეგისტრაციო და საინვენტარო ჟურნალები. ფონდში დაცულია აგრეთვე ბათუმში, აზიზიეს მოედანთან, მარიასა და მიხაილოვის (მ. აბაშიძისა და ზ. გამსახურდიას) ქუჩების კვეთაში მდებარე ეკლესიის ძველი შენობის გადაკეთების, კაპიტალური რემონტისა და ეკლესიის შენახვისათვის საჭირო თანხის შემომწირველთა აღრიცხვის წიგნები, რომელთა ათვლის წლები იწყება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან.

Ansicht von Batum am schwarzen Meere. (S. 182)

ფონდზე მუშაობისას გამოვლინდა მეტად საინტერესო დოკუმენტები, რომელთაგან ჩვენი ყურადღება მიიქცია რამოდენიმე საქმეთა ერთეულმა.

<u>საქმე №1-ში</u> დაცულია **აღსარების მთქმელთა სარეგისტრაციო წიგნი.** დოკუმენტი შედგენილია რუსულ ენაზე, რუსული შრიფტით ნაბეჭდ სპეციალურ ფურცლებზე. სარეგისტრაციო წიგნში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი შემდეგი განყოფილებები: ა) სამღვდელოება ბ) სამხედროები, გ) შტატის ჩინოვნიკები დ) ვაჭარები, აღებ-მიმცემები, ხელოსნები და ქალაქის მემამულეები ე) შინა-მოსამსახურეები, ვ) გლეხები, ზ) ქალაქში დროებითი მაცხოვრებლები. დოკუმენტებში წარმოდგენილია ყოველწლიური შემაჯამებელი ცხრილები კომლთა რაოდენობის, მრევლის სქესისა და მცირეწლოვანთა რაოდენობის ჩვენებით. ზოგიერთ დოკუმენტში მითითებულია მეუღლეთა განსხვავებული აღმსარებლობაც (რომაულ-კათოლიკე, ლუთერანი, სომეხი და ა. შ.). ცხრილი წლების მიხედვით წარმოგვიდგენს მრევლის რაოდენობრივ ცვლილებს (რაოდენობრივი ზრდა თუ შემცირება). დოკუმენტის მიხედვით, 1884 წელს ეკლესიის მრევლთა სიაში ირიცხება 441 პირი, რომელთა შორის იყო 250 მამაკაცი და 191 ქალი. მომდევნო წლისათვის რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია და შეადგენს 773 ადამიანს, რომელთაგან 206 ქალის, 550 კი მამაკაცი. უნდა აღინიშნოს, რომ შინამოსამსახურეთა და გლეხთა გრაფაში ჩანაწერი არ ფიქსირდება.

ამავე საქმეში 1884 წლ;ის მდგომარეობით დასახელებულნი არიან ეკლესიის მღვდელმსახურები: **პროტეიერი სიმონ მაქსიმეს-ძე ქიქოძე, დიაკონი ლუარსაბ ლუარსაბიშვილი და მეფსალმუნე ლუკა ხოშტარია** (იხ. დოკუმენტი N 3, ასს ცსა, ფონდი ი-55; ანაწ. 1; საქ. 1; ფ. 1; 1884 წ).

<u>საქმე №5-</u>ში დაცულია ბათუმის ოლქის ეკლესიათა პროტეიერის **ალექსანდრე რალცევიჩისადმი** ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის, ბათუმის წმ. ნიკოლოზის ბერძნული, ჩურუ-ქსუში, სოფელ სმეკალოვის წმ. ნიკოლოზის, ოზურგეთის წმ. ნიკოლოზის, ოზურგეთის წმ. მარიამის სატაძრო, კვირიკის კოსტანტინე ელინელის ბერძნული, სოუ-ქსუს სასაფლაოს წმინდა სამების, აჭყვის წმინდა გიორგის ბერძნული, დაგვის ღვთისმშობლის მიძინების ბერძნული და ახალშენის ფერისცვალების ბერძნული ეკლესიების მღვდლების: **სიმონ ქიქოძის, კონსტანტინე ცანდეკოვის, ბენიამინ ღლონტის, მათე ივანოვის, მიხეილ ჩხიკვაძის, სიმონ თოთობაძის, ანდრია ივანიცკის, სერგო გალოგრეს, გიორგი ჩალიკიდის, დ. ჩაკირიდის, ქრისტეფორე პაპანდოპულოს, დავით დუმბაძის, ანტონ ცეცხლაძის,** დიაკონ **აპოლონ გიორგის-ძე ქიქოძის,** მეფსალმუნეების: **ალექსანდრე ბულგაკოვის, აკაკი თალაკვაძის,** აგრეთვე ეკლესიების ზედამხედველების: **პანაიოტ დიმიტრის-ძე იოსეფიდისა და ივანე საულიდის** 1891-1914 წლებში გამოგზავნილი ანგარიშები და სხვა სახის დოკუმენტები.

ამავე საქმეში დაცულია 1893 წელს სასულიერო პირთა მიერ ჩატარებული საეკლესიო რიტუალებისათვის დაწესებული საფასურის აღრიცხვის წიგნი, რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი გალობით, ვედრებით, ჯვრისწერით, ნათლობით, პანაშვიდითა და წირვით მიღებული შემოსავლები.

– 1895 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ვლადიკავკაზის მემამულე **პერტე ვასილის ძე რომანოვი** ითხოვს, იუდეველთა სექტის დატოვებას, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაბრუნებას და ეკლესიის მრევლში ჩარიცხვაზე ნებართვის მიცემას. საქმეში დაცულია დეპეშა **ებრაელ ბუდგარ სოკოლოვსკის** ნათლობის შესახებ.

– განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრის პროტეიერ ალაქსანდრე რალცევიჩისადმი ბათუმის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის, თავად **მ. ლორთქიფანიძის** მიერ გაგზავნილი შეტყობინება. დოკუმენტი ეხება კომიტეტის ხელახლად ფორმირების საკითხს (1893 წლის 11 ივლისიდან), **გრ. ვოლსკისათვის** ხაზინადარობის გადაბარებას. საქმეში წარმოდგენილია მშენებლობის გასაგრძელებლად ფულის შეგროვების ამსახველ მასალები, მიმოწერები, საქმიანი ქაღალდები და სხვა სახის დოკუმენტები.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს პროტეიერ სიმონ ქიქოძის ხელმოწერით სიცოცხლის მიწურულს – 1891 წელს გაცემული ცნობა **ივანე ხუტუს-ძე ხავთასის** მეუღლის გარდაცვალების შესახებ და ოზურგეთის მაზრის სოფელ ძიმითის ეკლესიის მღვდლის **მათე მელივას** მიერ გაცემული ცნობა **ოლღა მორჩილაძის** წმინდა საიდუმლო ზიარების შესახებ.

პალესტინის მართლმადიდებელთა საზოგადოების 1893 წლის მომართვით, უწმინდეს სამწყსოს ნება დაერთო, წელიწადში ერთხელ, იესოს იერუსალიმში შემოსვლის დღეს, იმპერიის ეკლესიებში შეკრებილიყვნენ, ყველასათვის გაეცნოთ ახალი წესები ბზის მოსავლის წარმოებისა და შეგროვების შესახებ, შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე უნდა დაეწესებინათ კონტროლი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ბათუმში, ალ. რალცევიჩსადმი გურია-სამეგრელოს ეპარქიის **ეპისკოპოს გრიგოლის** მიერ გამოგზავნილ წერილში. იქვეა ბათუმის ბერძნული ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლის, **მიხეილ ჩხიკვაძის** და ამავე ეკლესიის ზედამხედველის, **პანაიოტ იოსეფიდის** 1896 წლის ანგარიშები, რომლებშიც საუბარია მართლმადიდებელ პალესტინელთა საზოგადოების შემოწირულობზე, ქვრივ-ობოლთა და ბრმათა დასახმარებლად შემოწირულობების განაწილების, ასევე მოსწავლეებში მართლმადიდებლობის გავრცელების, ოზურგეთის სამრევლო სასწავლებლის შენახვის, გარდაცვლილი წინამძღვრის – **მათე ივანოვის** დედისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხებზე.

ფონდში წარმოდგენილია აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთაგან ერთ-ერთი არის კვირიკის კოსტანტინე ელინელის ეკლესიის მღვდლის **გ. ჩალიკოვის** ანგარიში. იგი ეხება ნასესხები თანხებით სოფელში გადმოსახლებული ბერძენების მიერ აშენებული ეკლესიისათვის ჟურნალის შესაძენისათვის თანხის გამოყოფის საკითხს. დოკუმენტებში არის მასალები აგრეთვე საეკლესიო ქონების და სიწმინდეების გადარჩენის აუცილებლობის საკითხებზე, რადგან მდინარე ნატანების ქვიშიანი სანაპიროს რღვევის გამო შეიქმნა გარკვეული საშიშროება. აღნიშნულის შესახებ საუბარია პროტეიერ ალექსანდრე რალცევიჩისადმი მღვდელ **ანტონ ცეცხლაძის** მიერ 1896 წელს გაგზავნილ წერილში, სადაც იგი მოითხოვს მოითხოვს თანხმობას ძველი ეკლესიის დანგრევაზე. გურია-სამეგრელოს **ეპისკოპოს გრიგოლს** გაუცია შესაბამისი ნებართვა. წერილის ავტორი ითხოვს აგრეთვე ფულად დახმარებას საეკლესიო ჟურნალის „საქართველოს სასულიერო მაცნეს“ შესაძენად.

1922 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში დაცულია სომეხი ეროვნების 78 ობოლი ბავშვის (43 ვაჟი, 35 გოგონა) სია ასაკის მითითებით. იმ პერიოდში დღის წესრიგში დამდგარა ოზურგეთის წმინდა მარიამის ეკლე-

სიისა და კავკასიის მესამე, ადგილობრივ მსროლელთა დივიზიის სამხედრო ტაძრის გაერთიანების საკითხი, რის შესახებაც საუბარია ოზურგეთის წმინდა მარიამის ეკლესიის სატაძრო ეკლესიის წინამძღვრის **დავით დუმბაძის წერილ-ში.** ამ საჭიროებას იგი ასაბუთებს იმით, რომ ტაძარი მღვდლის გარეშე იყო დარჩენილი.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ეკლესიაში შეტანილი სანთლე-ბი ზოგჯერ უხარისხო იყო და ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის სტანდარტებს. არქიდიაკონი **ისიდორე ნადირაძე** 1898 წლის წერილში ითხოვს ასეთი უხარის-ხო (არა ფუტკრის) ფიჭისგან დამზადებული სანთლების ამოღებას და აკრძალ-ვას.

საინტერესე მონაცემებია დაცული ბათუმის **სოუ-ქსუს სასაფლაოს წმინდა სამების ეკლესიის** მშენებლობის შესახებაც. **მიხეილ ვერბოლოზოვის** წერილი-დან ჩანს, რომ სოუ-ქსუს სასაფლაოს წმინდა სამების ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსის- **ალექსანდრეს** მიერ, **1900 წლის 8 მარტს დამტკიცებული ნებართვის** საფუძველზე. მღვდლად დაუ-ნიშნავთ **მიხეილ ბესარიონის ძე ჩხიკვაძე და** ეკლესიის მშენებლობის საქმის ზედამხედველობის ნება დაურთიათ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. მის-თვის მიუციათ „წმინდა ბარბარეს“ სამლოცველოში ღვთისმსახურების ჩატარე-ბის უფლება ახალი ეკლესიის აშენებამდე. მშენებლობის დასრულების შემდეგ ეკლესიის მრევლად ჩაირიცხებოდა ბარცხანისა და სლობოდა-ხოლოდნაიას მაცხოვრებლები. ტოპოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ეკლესია ეკუთ-ვნოდა არა ოლქს, არამედ ქალაქს (იხ. დოკუმენტი N 2, ასს ცსა, ფონდი ი-55; ანაწ.1; საქ. 20; ფ. 2; 1913 წ).

ამავე საქმეში დაცულია საინტერესო ამონაწერები:

1. ლიტოვსკის სამეფო მეტრიკული წიგნიდან (**ავგუსტ მესამის** 1752 წლის მითითებით), რომელიც შეიცავს **მეფე სიგიზმუნდ ავგუსტ ვიდუბიცკის,** 1568 წლის დამამოწმებელ სიგელს, მიხაილოვის მონასტრის, იღუმენ **გრიგოლ შვაბის** სახელზე მიწების მფლობელობის, მისი საზღვრებისა და სარგებლობის შესახებ;
2. მეფე **იან კაზიმირ ვიდუბიცკის** 1650 წელს დამოწმებელი სიგელი, მიხაი-ლოვის მონასტრის მიერ, გადაზიდვებისათვის მდინარე დნეპრით სარ-გებლობის უფლების მინიჭების შესახებ;
3. კიევის მიტროპოლიტის **სილვესტერ კოსოვისა და იღუმენ ეგნატე აქსენე-ვიჩის** სახელზე **სიგიზმუნდ მესამის** დამტკიცებელი და გაცემული სიგე-ლი;
4. **მეფე პეტრე ალექსეევიჩის** მიერ კიევის პეჩორის ლავრის იღუმენ **იოანიკ სენიუტოვიჩის** სახელზე 1720 წელს გაცემული სიგელი, რომელშიც საუ-ბარია ლავრაში წინა წელს გაჩენილი გამანადგურებელი ხანძრის შე-დეგად მიყენებული უდიდესი ზარალის შესახებ.

საარქივო მასალებში ვხვდებით ინფორმაციებსმღვდლის დეპუტატის ხა-რისხში ამაღლების შესახებაც. აღნიშნულის შესახებ საყურადღებო მასალებია **№19 საქმეში.** მასში წარმოდგენილია **ალექსანდრე სოკოლოვის** ანგრიში, საი-

დანაც ირკვევა, რომ ოზურგეთის სასწავლო ოლქის, 1903 წლის დეპუტატთა ყრილობაზე, ბათუმის წმინდა მიქაელ-მთავარანგელოზის ეკლესიის მეოთხე მღვდელი – **მიხეილ ბესარიონის-ძე ჩხიკვაძე** არჩეული იქნა დეპუტატის ხარისხში (ასს ცსა, ფ. ი-55, ს.19, ფ. 108).

საქმეში წარმოდგენილია 1903 წლის ინსტრუქცია. იგი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღვთისმეტყველებისა და სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელთათვისაა განკუთვნილი. დოკუმენტი დაბეჭდილია ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს განკარგულების საფუძველზე. ტიპოგრაფია ეკუთვნის ფოთის მკვიდრს **ლ. მ. ტულუშს.** აქვე ინახება ოზურგეთის განყოფილების სამრევლო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის საიდუმლო წერილი, სასწავლებელში შემჩნეული „მავნე ზემოქმედების მქონე მასწავლებლების“ სასწრაფოდ განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მოუწოდებდნენ მოსწავლეებს **მანიფესტაციაში მონაწილეობისაკენ.**

ამავე საქმეში დაცულია ერთ-ერთი საინტერესო ცირკულარი. იგი გაცემულია გურია-სამეგრელოს ეპარქიის **ეპისკოპოსის ლეონიდეს მიერ** იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანების საფუძველზე და თარიღდება 1914 წლით. აღნიშნული ცირკულარი ეხება „მიუღებელი და უხერხული წეს-ჩვეულებების“ აკრძალვას ქართველ საპატიო წმინდანთა მოხსენიების საეკლესიო დღესასწაულებზე, ასევე ეკლესიის სასულიერო პირთათვის შემოსავალ-გასავლის ზუსტად წარმოებისა და კონტროლისათვის საძმო რვეულების შემოღების აუცილებლობას. ცირკულარი მიღებულია სახელმძღვანელოდ სასულიერო პირებისათვის. მას ხელს აწერენ ბათუმის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის სასულიერო პირები, **მღვდლები: ალ. რალცევიჩი, სიმონ თოთიბაძე, მიხეილ ჩხიკვაძე, მეფსალმუნეები- პროკოფი ჩიგოგიძე, ნიკოლოზ კიღურაძე და დიაკონი პორფირე უჩანეიშვილი.**

საარქივო დოკუმენტებიფდან ირკვევა, რომ შექმნილა **ბათუმის ძველი სატაძრო ეკლესიის კაპიტალური რემონტისა და გადაკეთების კომიტეტი,** რომელსაც თანხების მოზიდვისათვის გაუწევია კოლოსალური სამუშაოები. აღნიშნულის შესახებ მასალები დაცულია **N 16, 19 და 21-ე** საქმეთა ერთეულებში. ზემოთდასახელებულ კომიტეტს ეკლესიის შენახვა-შეკეთების საჭიროებისათვის თანხების შემოსაწირად გუბერნიებში, ქალაქებში, ორგანიზაცია-დაწესებულებებში დაუგზავნია შესაბამისი წერილები, შემოწირვის მოწოდებები, შეუდგენია სპეციალური ბლანკები შემომწირველთა ხელმოწერებისათვის ხაზინაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით. დოკუმენტები მოიცავს 1912-1914 წლების მონაცემებს. შემომწირველთა ბლანკები გამოგზავნილია კომიტეტის თავმჯდომარის, ბათუმის ოლქის სახმხედრო გუბერნატორის, **გენერალ-მაიორ რომანოვსკი-რომანკოს** სახელზე. შემოწირულობათა სიზუსტე შემოწმებულია საამშენებლო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრების მიერ, რაც მათივე ხელწერითა და ბეჭდითაა დადასტურებული. სიებით ირკვევა, რომ თანხის შეგროვებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქის ცნობილი და შეძლებული პირები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მათ შორის არიან მსხვილი შემომწირველებიც: ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი ილარიონი,** თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი, პროტეი-

ერი **ტიმოთე ვასელევსკი, გენერალ-მაიორი ანტონ დუმბაძე, თავადი დადიანი, იაკობ ორბელიანი, ვერა პეტრეს-ას გლაუდანის ოჯახი, იასონ საბახტარაშვილი, ყარამან მგელაძე, ივანე კაკაბაძე, ნ. ბარათაშვილი, ყემბერ-აღა ხარაზი, იუსუფ-აღა ვარშანიძე, ლაზარე ბინიატ-ოღლი, პავლე ნადარეიშვილი, რუსეთის საიმპერატორო კონსული ტრაპიზონში- გ. ი. ბრანდტი, ფ. მეტაქსა, ძმები ფოსტიროპულოები, ნიკო ვახტანგის-ძე ჯაყელი, გ. ს. ჭყონია, ნ. პ. მოჩალკინი, სერებრიაკოვი, ბარიატინსკი, აშოტ მდოიანცი, ბათუმის ლაზარეთის მთავარი ექიმი მიხეილ იაკობის-ძე ფენსტერი, რ. დ. წერეთელი, კ. გ. სიმჩენკო და** მრავალი სხვა.

შემოწირულობები განხორციელებულა სხვადასხვა ორგანიზაციებიდანაც. მათ შორის დასახელებულია ნავთობმრეწველთა საზოგადოება **„ძმები ნობელები“** (იხ. დოკუმენტი N 3, ფონდი ი-55; ანაწ. 1; საქ. 21; ფ. 162; 1913 წ) **„შუტცი და ციმერმანი“ (**წარმომადგენელი **გ. ჩიკაშვილი), „ბერტმანი და კ“, სპილენძის მრეწველთა საზოგადოება, თბილისის საადგილმამულო ბანკი, ბაქოს, ზაქათალას, ერევნის, თბილისის, აზოვ-დონის და არმავირის ამიერკავკასიის კომერციული ბანკები** (ფონდი ი-55; ანაწ. 1; საქ. 21; ფ. 162; 1913 წ).

თანხები შეგროვდა რეგიონებიდანაც, საკუთრივ ცხინვალის ქართველების, ახალციხის, სათლერ-რაბათის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის, კახეთის, ბორჯომის, სლობოდა-ხოლოდნაიას და ჩურუქ-სუს (კინტრიშის მაზრა) მოსახლეობისაგან. შემომწირველებს შორის დასახელებულია მღვდელი **ირაკლი ოქროპირიძე,**

მკითხველისათვის საინტერესოა **<u>№4, №1</u>** საქმეთა ერთეულებში დაცული ინფორმაციები. აღსანიშნავია, რომ ამ ფონდში შერეულია ბათუმის წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის 1897 და 1912 წლების ორი საქმეთა ერთეული, აღსარების მთქმელთა სარეგისტრაციო წიგნები. მრევლთა სიაში რეგისტრირებულნი არიან ცნობილი ადამიანები: წინამძღვარი **კონსტანტინე ტრიფონის ძე ცანდეკოვი („ახალგაზრდა, 27 წლის“), მღვდელი მიხეილ ბესარიონის ძე ჩხიკვაძე (მეუღლე ივლიტა იერემიას ასულითა და ერთი წლის მარიამით),** ამავე ეკლესიის შტატგარეშე მღვდელი **ნიკოლოზ კოსტანტინიდი,** ასევე **ნიკიფორ მიხეილის ძე ნიკიფორიდი, გიორგი მავროპულო, პ. დ. და ს. პ. სიმონიდები, მ. მიხაილიდი, ე. ეფრემიდი, გ. კაზანჯი, მ. დიმიტრიადი, პ. კ. კაპიდი, ი. ბენლისი, პ. დ. მეტაქსა** და მრავალი სხვა. 1897 წლის შემაჯამებელი ჩანაწერით ირიცხება 422 პირი, 96 კომლი, 236 მამაკაცი, 185 ქალი, ხოლო 1912 წელს კი 959 პირი, 214 კომლი, 511 მამაკაცი და 448 ქალი.

ამრიგად, აჭარის საარქივო სამმართველოში, ბათუმის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ფონდში დაცული დოკუმენტები უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალებითაა წარმოდგენილი. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ფონდი ისტორიული ღირებულებისაა და საჭიროებს რესტავრაციას. საჭიროა ფონდის ზოგიერთ საქმეს ჩაუტარდეს რესტავრაცია.



			Духовные		
1.	1.	"	Протоіерей Симонъ Кикодзе	61	"
	"	1.	жена его: Сарра Симеонова	"	45
	2.	"	дѣтей муж.: Леонидъ	25.	"
	3.	"	Титъ	23	"
	4.	"	Григорій	20	"
	5.	"	Николай	17	"
	6.	"	Герасимъ	14	"
	7.	"	Владиміръ	10	"
2.	8.	"	Діаконъ Мурсабъ Мурсабовъ	34	"
	"	2	жена его: Анастасія Евстаріева	"	28
	"	3	дѣтей муж. Тамара	"	5.
	"	4	мать его. вдова Марія Іоаннова	"	51.
3.	9.	"	Псаломщикъ Лука Пантаріе	28	"
	"	5	жена его: Елизавета Симеонова	"	25
	10	"	дѣтей муж.: Виссаріонъ	5.	"
	"	6.	Евфимія	"	4.
	"	7	мать его. вдова Мелитина Вахтангова	"	45
	"	8.	вдова Сѧщенника, Варвара Давидова Гамцадзе	"	60.

დოკუმენტი 1. ასს ცსა, ფონდი ი-55; ანაწ. 1; საქ. 1; ფ. 1; 1884 წ.

Число домовъ или дворовъ.	Людей. Мужеска пола.	Людей. Женска пола.		Лѣта ѿ рожденія. Мужеска пола.	Лѣта ѿ рожденія. Женска пола.	Показанія дѣйства. Кто были ѹ исповѣди и святаго причастія.	Показанія дѣйства. Кто́жъ исповѣдались то́кмо, а не причастились, и за какимъ винословіемъ.	Которы ѹ исповѣди не были.
3	5	"	Священникъ Симонъ Григорьевичъ Тотибадзе	51	"			
	"	3	жена его Нина Кеихосровна	"	46			
	6	"	дѣти ихъ: 1, Стратоникъ	22	"			
	7	"	2, Андрей	10	"			
	8	"	3, Николай	4	"			
	"	4	4, Тамара	"	19			
	"	5	5, Кетевана	"	17			
	"	6	6, Шушаника	"	13			
	"	7	7, Веронина	"	6			
4	9	"	Священникъ Михаилъ Виссаріоновичъ Чхиквадзе	42	"			
	"	8	жена его Іулита Іереміевна	"	39			
	10	"	Дѣти ихъ: 1, Григорій	16	"			
	11	"	2, Давидъ	10	"			
	12	"	3, Виссаріонъ	6	"			
	"	9	4, Кетевана	"	14			
	"	10	5, Нина	"	8			

დოკუმენტი 2 ასს ცსა,ფონდი ი-55; ანაწ.1; საქ. 20; ფ. 2; 1913 წ.



Товарищество Нефтяного Производства
БРАТЬЕВЪ НОБЕЛЬ
БАТУМСКАЯ КОНТОРА.

№ 177

Батумъ, 27-го Мая 1913 г.

Его Превосходительству
Господину Военному Губернатору Батумской Области

Возвращая при семъ подписной листъ за № 59, имѣемъ честь увѣдомить, что пожертвованные по немъ Конторой Товарищества 25 руб. на обновленіе стараго Собора нами внесены сегодня въ Батумское Казначейство въ депозитъ Вашего Превосходительства подъ квитанцію за № 9381.-

по дов. Товарищества Нефтянаго Производства
Братьевъ Нобель

დოკუმენტი 3. ასს ცსა, ფონდი ი-55; ანაწ. 1; საქ. 21; ფ. 162; 1913 წ.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ფონდ ი-55, ანაწ. 1; საქ. 1, 5, 16, 19, 21.

Nino Gogitidze

St. Michael the Archangel Church in Batumi (1884-1914) according to the materials preserved in the Adjara Archive Division

Summary

Among the interesting documents kept in the fund of the Ajara Archives Administration, the fund of the Church of St. Michael the Archangel in Batumi is of special value. It holds twenty-one units of cases. The chronological framework of the documents covers the years 1884 – 1914. The fund preserves annual registration books, letters, references, telegrams, accounting books, reports, inventory magazines, for renovation of the old church building at the intersection of Maria and Mikhailov (M. Abashidze and Z. Gamsakhurdia) streets in Batumi, Aziziye Square.